ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №7591979

ნომერი: AR11103464

თარიღი : 07.08.2025

გაცემის თარიღი : 14.08.2025

გაცნობის თარიღი : 14.08.2025

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი, წყნეთის გზატკეცილი N7ა;

დამკვეთი-განმცხადებელი

- გიგა ალბორაშვილი პ/ნ 24001041064
- კასპი ს. ახალციხე

ნომენკლატურა :

- I კლასი
- 25 კუბ.მ-მდე მოცულობის და 2.2 მ-მდე ჩაღრმავების მქონე აუზი, ღია საცურაო აუზი, ჭა და წყარო ახალი მშენებლობა

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-5, 51-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიეტქტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის№255 დადგენილებით დამტკიცებული მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების წესის და პირობების თანახმად.

ვბრძანებ

2025 წლის 02 აპრილის მდგომარეობით მომზადებული, სარეგისტრაციო ნომრით B25032031
სამეწარმეო რეესტრის ამონაწერის თანახმად, შპს „ალფა ჰოლდინგ საქართველოს“ (საიდენტიფიკაციო ნომერი: 401992910) ხელმძღვანელობაზე /
წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირია ერთპიროვნული დირექტორი სურინდერ პალ ნაგრა (508363888)
და ამავე სამეწარმეო რეესტრის ამონაწერში ასახულია არაერთი აკრძალვა და ყადაღა.

2023 წლის 02 აგვისტოს მდგომარეობით მომზადებული, სარეგისტრაციო ნომრით N882023810687
საჯარო რეესტრის ამონაწერის თანახმად, N01.14.07.003.030 მიწის ნაკვეთის საკუთრების ტიპია -
თანასაკუთრება და მისი ერთ-ერთი თანამესაკუთრეა შპს „ალფა ჰოლდინგ საქართველო“
(საიდენტიფიკაციო ნომერი: 401992910)
და ზემოხსენებულ იურიდიულ პირთან მიმართებაში საჯარო რეესტრის ამონაწერში ასახულია:
საგადასახადო გირავნობა, ყადაღა და მოვალეთა რეესტრი.

მოთხოვნა დაყენებულია გიგა ალბორაშვილის (პირადი N24001041064) მიერ,
რომელიც დღეის მდგომარეობით აღარ არის უფლებამოსილი განმცხადებელი ვინაიდან და რადგანაც მისი უფლებამ ოსილების დასტურად წარმოდგენილი მინდობილობის ძალმოსილების ვადა სრულად ამოიწურა 2025 წლის 25 იანვრის დასრულებისთანავე.

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენს მიერ ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია და გაცნობებთ, რომ :

- ინტერაქტიულ რუკაზე ნაცვლად რეგისტრირებული მთლიანი მიწის ნაკვეთისა, განსაზღვრული უნდა იყოს საპროექტო კონკრეტული ნაგებობის შესაბამისი ტრაექტორია/ადგილმდებარეობა (ან წარმოდგენილი იქნეს ახალი განცხადება, რომლის მიხედვითაც თავიდანვე ზუსტად იქნება განსაზღვრული ტრაექტორია);
- არსებული სიტუაციის ფოტოსურათები: წარმოსადგენია იმ მონაკვეთის ასახვით, რომელზედაც დამუშავებულია საპროექტო ფოტომონტაჟი;
- წარმოსადგენია იმ ხაზობრივი ნაგებობების მესაკუთრ(ეებ)ის მიერ გაცემული თანხმობა/შეთანხმებული სქემა, რომელთა საკუთრებაში არსებულ ხაზობრივ ნაგებობებიც საპროექტო ტერიტორიის არეალშია მოქცეული (არსებული მონაცემებით ფიქსირდება გაზსადენი, ინტერნეტი) და ასევე რომელზედაც გათვალისწინებულია საპროექტო სანიაღვრე ჭის დაერთება (თანხმობასთან ერთად წარმოსადგენია არსებული ხაზობრივი ნაგებობის საკუთრების და კანონიერების დამადასტურებელი დოკუმენტიც, რომელზედაც ხორციელდება საპროექტო ჭის მოწყობა);
- ფოტომონტაჟი: აღნიშნულ ველშია წარმოსადგენი არქიტექტურული პროექტის გეგმა და ჭრილი: სადაც სანიაღვრე ჭის გარდა ასევე ნაჩვენები იქნება არსებული ქსელიც (რისთვისაც გათვალისწინებულია საპროექტო ჭის მოწყობა);
- N01.14.07.003.030 მიწის ნაკვეთზე მოქმედი ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის წევრთა 100 პროცენტის დასწრება- მონაწილეობით ჩატარებული კრების ამსახველი წერილობითი ოქმი - მასზედ ხელმოწერის ნამდვილობის სანოტარო წესით დამოწმებით, რომელშიც ზემოხსენებული ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის წევრთა 100 პროცენტის დადებითი ნებელობა ცალსახად უნდა იქნეს გამოხატული მასზედ, რომ საკითხის განმხილველმა უფლებამოსილმა ადმინისტრაციულმა ორგანომ დააკმაყოფილოს N01.14.07.003.030 მიწის ნაკვეთის ერთ-ერთი თანამესაკუთრის შპს „ალფა ჰოლდინგ საქართველოს“ (საიდენტიფიკაციო ნომერი: 401992910) მოთხოვნა და წერილობით დაადასტუროს პირველი კლასის ნიშან- მახასიათებლების მქონე სამუშაოს განხორციელების შესაძლებლობა (ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის წევრთა კრები ს ოქმში ყველა რეკვიზიტისა და ინფორმაციის მითითება უნდა განხორციელდეს ზუსტად და სრულად, საჯარო რეესტრის ამონაწერისა და სხვა დანარჩენი დოკუმენტების შესაბამისად).
- სათანადო წესით დამოწმებული წერილობითი დოკუმენტი დასტურად იმისა, რომ N01.14.07.003.030 მიწის ნაკვეთზე მოქმედებს ნამდვილად ის ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობა, რომლის წევრთა ოქმიც იქნება წარმოდგენილი.
- შპს „ალფა ჰოლდინგ საქართველოს“ (საიდენტიფიკაციო ნომერი: 401992910) ხელმძღვანელობაზე / წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის (ორგანოს) მიერ გიგა ალბორაშვილის (პირადი N24001041064) სახელზე წერილობით გაცემული და სათანადო წესით დამოწმებული ახალი ძალმოსილი მინდობილობა, რომლითაც უნდა დადასტურდეს განმცხადებლის უფლებამოსილება მასზედ, რომ ნამდვილად ხელეწიფება შპს „ალფა ჰოლდინგ საქართველოს“ (საიდენტიფიკაციო ნომერი: 401992910) სახელით მომართოს საკითხის განმხილველ უფლებამოსილ ადმინისტრაციულ ორგანოს და მოითხოვოს აღმჭურველი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-

სამართლებრივი აქტის გამოცემა (მინდობილობაში ყველა რეკვიზიტისა და ინფორმაციის მითითება უნდა განხორციელდეს ზუსტად და სრულად, საჯარო რეესტრის ამონაწერისა და სხვა დანარჩენი დოკუმენტების შესაბამისად).

-

წერილობით გაცემული და სათანადო წესით დამოწმებული თანხმობა სამუშაოების განხორციელებაზე იმ მესაკუთრისა, ვის საკუთრებაში არსებულ ხაზობრივ ნაგებობასაც უნდა მიეუერთდეს / შეუერთდეს / დაუერთდეს ახალი ხაზობრივი ნაგებობა (წერილობით თანხმობაში ყველა რეკვიზიტისა და ინფორმაციის მითითება უნდა განხორციელდეს ზუსტად და სრულად, საჯარო რეესტრის ამონაწერისა და სხვა დანარჩენი დოკუმენტების შესაბამისად).

-

აღსრულების ეროვნული ბიუროს მიერ წერილობით გაცემული და სათანადო წესით დამოწმებული პოზიცია მასზედ, რომ საკითხის განმხილველმა უფლებამოსილმა ადმინისტრაციულმა ორგანომ დააკმაყოფილოს N01.14.07.003.030 მიწის ნაკვეთის ერთ-ერთი თანამესაკუთრის შპს „ალფა ჰოლდინგ საქართველოს“ (საიდენტიფიკაციო ნომერი: 401992910) მოთხოვნა და წერილობით დაადასტუროს პირველი კლასის ნიშან-მახასიათებლების მქონე სამუშაოს განხორციელების შესაძლებლობა, ანუ წერილობით დაადასტუროს შპს „ალფა ჰოლდინგ საქართველოს“ (საიდენტიფიკაციო ნომერი: 401992910) მიერ N01.14.07.003.030 მიწის ნაკვეთზე ახალი ხაზობრივი ნაგებობის მოწყობა-აშენების შესაძლებლობა.

- 6.შპს „ალფა ჰოლდინგ საქართველოს“ (საიდენტიფიკაციო ნომერი: 401992910) უფლებამოსილი წარმომადგენლის მიერ წერილობით გაცემული განმარტება - მასზედ ხელმოწერის ნამდვილობის სანოტარო წესით დამოწმებით, რომლითაც დეტალურად და ზუსტად უნდა გაეცეს პასუხი შემდეგ შეკითხვას, - კონკრეტულად, რომელ უძრავ ქონებას (შენობა-ნაგებობას) უნდა მიეუერთდეს / შეუერთდეს / დაუერთდეს ახალი ხაზობრივი ნაგებობა (განმარტებით ბარათში ყველა რეკვიზიტისა და ინფორმაციის მითითება უნდა განხორციელდეს ზუსტად და სრულად, საჯარო რეესტრის ამონაწერისა და სხვა დანარჩენი დოკუმენტების შესაბამისად).

აქვე გაითვალისწინეთ, რომ სამსახურის მიერ მითითებული ხარვეზების გაუთვალისწინებლობის შემთხვევაში წინამდებარე განცხადება დარჩება განუხილველი.

თქვენ გეძლევათ 15 დღიანი ვადა მითითებული ხარვეზების გამოსასწორებლად, თუ დადგენილ ვადაში არ წარმოადგენთ შესაბამის დოკუმენტაციას აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

გაითვალისწინეთ, თქვენი მხრიდან კვლავ არასრულყოფილი და ხარვეზების შემცველი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში, აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

•

დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიისცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ.#7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე #4.

• გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

• განემარტოს განმცხადებელს, რომ ლეგალიზება იმავდროულად ნიშნავს ობიექტის ან მისი ნაწილის ექსპლუატაციაში მიღებას.